ოქმი #5

თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2018 წლის 25 დეკემბრის სხდომისა

სხდომას ესწრებოდნენ:

სამეცნიერო საბჭოს წევრები: თ. ქადეიშვილი, მ. აშორდია, გ. ბერიკელაშვილი, რ. დუდუჩავა, მ. ელიაშვილი, ხ. ინასარიძე, დ. კაპანაძე, ა. კვინიხიძე, ი. კიღურაძე, მ. მანია, ბ. მესაბლიშვილი, ა. მესხი, ნ. ფარცვანია, ნ. შავლაყაძე, ო. ჭკადუა, მ. ჯიბლაძე, ო. ჯოხაძე (სამეცნიერო საბჭო შედგება 29 წევრისაგან, სხდომას ესწრებოდა 17 წევრი).

დღის წესრიგი:

1. ინსტიტუტის დირექტორის მიერ 2018 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიშის მოსმენა;
2. ინსტიტუტის სამეცნიერო განყოფილებების ხელმძღვანელთა წლიური ანგარიშების მოსმენა-დამტკიცება;
3. ინსტიტუტის საშტატო განრიგში ცვლილებების შეტანის შესახებ;
4. ინსტიტუტის ბიბლიოთეკის საკითხი;
5. ინსტიტუტის სწავლული მდივნის არჩევნები.

არჩეულ იქნა: სხდომის მდივანი - **ნუგზარ შავლაყაძე**.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : ინსტიტუტის დირექტორის ნინო ფარცვანიას გამოსვლა, რომელმაც დამსწრეებს მოახსენა მის მიერ 2018 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიში (აღნიშნული ანგარიში ოქმს თან ერთვის).

სამეცნიერო საბჭომ დადებითად შეაფასა ინსტიტუტის დირექტორის ნინო ფარცვანიას მიერ 2018 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიში.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს და დ ა ა მ ტ კ ი ც ე ს სამეცნიერო განყოფილებების ხელმძღვანელთა წლიური ანგარიშები, რის საფუძველზეც მომზადდება ინსტიტუტის წლიური სამეცნიერო ანგარიში.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : ინსტიტუტის დირექტორის ნინო ფარცვანიას გამოსვლა, რომელმაც ისაუბრა ინსტიტუტის საშტატო განრიგში ცვლილებების შესახებ. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ 2019 წლის 3 იანვრიდან შევა შემდეგი ცვლილებები ინსტიტუტის საშტატო განრიგში:

1) გაუქმდება მათემატიკური ანალიზის განყოფილებაში მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტური თანამდებობა (1 საშტატო ერთეული, თვიური თანამდებობრივი სარგო - 700 ლარი);

2) გაუქმდება საფინანსო-საბუღალტრო საქმის სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობა (1 საშტატო ერთეული, თვიური თანამდებობრივი სარგო - 425 ლარი);

3) დაარსდება მათემატიკური ანალიზის განყოფილებაში უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა (1 საშტატო ერთეული, თვიური თანამდებობრივი სარგო - 600 ლარი);

4) დარსდება სამეცნიერო ინფორმაციის სექტორში ლაბორანტის თანამდებობა (1 საშტატო ერთეული, თვიური თანამდებობრივი სარგო - 325 ლარი).

სამეცნიერო საბჭომ მხარი დაუჭირა ინსტიტუტის საშტატო განრიგში შესატან ზემოთ აღნიშნულ ცვლილებებს.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის თ. ქადეიშვილის გამოსვლა ინსტიტუტის ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ საჭიროა ინსტიტუტში შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც განიხილავს და იმსჯელებს ინსტიტუტის ბიბლიოთეკასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, და შემდეგ საბჭოს წარუდგენს თავის წინადადებებს.

გ ა დ ა წ ყ დ ა : შეიქნას ინსტიტუტის საბიბლიოთეკო კომისია შემდეგი შემადგენლობით: თ. ქადეიშვილი, მ. მანია, ნ. შავლაყაძე, მ. ჯიბლაძე, ო. ჯოხაძე.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : ინსტიტუტის დირექტორის ნინო ფარცვანიას გამოსვლა, რომელმაც დამსწრეებს მოახსენა, რომ თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დებულების მე-4 მუხლის მეორე პუნქტის "ი" ქვეპუნქტის თანახმად სამეცნიერო საბჭო დირექტორის წარდგინებით ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალიდან 5 წლის ვადით ირჩევს ინსტიტუტის სწავლულ მდივანს.

ნ. ფარცვანიამ საბჭოს სწავლული მდივნობის კანდიდატად წარუდგინა ინსტიტუტის დიფერენციალური განტოლებების განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი **ოთარ ჯოხაძე**.

ს ა კ ი თ ხ ი დ ა დ გ ა კ ე ნ ჭ ი ს ყ რ ა ზ ე . საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრეებს მიმართა შეკითხვით, სწავლული მდივნის არჩევნები ჩატარდეს ღია თუ ფარული კენჭისყრით. ღია კენჭისყრის საფუძველზე გადაწყდა, რომ აღნიშნული არჩევნები ჩატარდება ფარული კენჭისყრით.

არჩეულ იქნა ხმის დამთვლელი კომისია შემადგენლობით: მ. ჯიბლაძე (თავ-რე), დ. კაპანაძე და ა. მესხი.

ჩატარდა ფარული კენჭისყრა (ხმის დამთვლელი კომისიის ოქმი # 1, რომელიც სამეცნიერო საბჭომ ერთხმად დაამტკიცა, ამ ოქმს თან ერთვის).

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : ფარული კენჭისყრის შედეგების საფუძველზე თსუ ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ თსუ ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სწავლულ მდივნად 5 წლის ვადით ერთხმად არჩეულ იქნა თსუ ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დიფერენციალური განტოლებების განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი ოთარ ჯოხაძე.

სხდომის თავმჯდომარე თ. ქადეიშვილი

სხდომის მდივანი ნ. შავლაყაძე

თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის

ნ ი ნ ო ფ ა რ ცვ ა ნ ი ა ს მიერ 2018 წელს შესრულებული სამუშაოს

ა ნ გ ა რ ი შ ი

ა) კონტროლს ვუწევდი ინსტიტუტის დაფინანსების მიზნობრივ გამოყენებას.

ბ) ვუხელმძღვანელე ინსტიტუტის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების შემუშავების პროცესს და დირექტორის ბრძანებით დავამტკიცე თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები სათანადო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა მიერ წარმოდგენილი პროექტების საფუძველზე (**მარტი, 2018 წელი**).

გ) შევიმუშავე და თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელს განსახილველად და დასამტკიცებლად წარვუდგენე ინსტიტუტის 2019 წლის ბიუჯეტისა და საშტატო განრიგის პროექტი (**ივნისი, 2018 წელი**).

დ) ვუხელმძღვანელე თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის 2019-2023 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავებას. აღნიშნული 5 წლიანი გეგმა მოიწონა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ, დავამტკიცე დირექტორის ბძანებით და გავუგზავნე თსუ რექტორს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში წარსადგენად (**ივლისი, 2018 წელი**).

ე) ვესწრებოდი და აქტიურ მონაწილეობას ვღებულობდი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომებში.

ვ) მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად ჩავატარეთ ინსტიტუტის სარგებლობაში არსებული თსუ-ს ბალანსზე რიცხული ქონების სრული ინვენტარიზაცია 01.10.2018 წლის მდგომარეობით და მისი შედეგები წარვუდგინეთ (ინსტიტუტის საინვენტარიზაციო კომისიასთან ერთად) თსუ ცენტრალურ საინვენტარიზაციო კომისიის აპარატს (**დეკემბერი, 2018 წელი)**.

ზ) მხარს ვუჭერდი სამი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის - „ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის შრომები“ (გამოდის 1937 წლიდან, განთავსებულია SCOPUS-ის ბაზაში), „საქართველოს მათემატიკური ჟურნალი“ (გამოდის 1994 წლიდან, გამოსცემს DE GRUYITER, 2008 წლიდან აქვს იმფაქტ-ფაქტორი) და „მემუარები დიფერენციალურ განტოლებებსა და მათემატიკურ ფიზიკაში“ (გამოდის 1994 წლიდან, განთავსებულია SCOPUS-ის ბაზაში) - გამოსაცემად მომზადების პროცესს და დაბეჭდვას.

თ) ვხელმძღვანელობდი ინსტიტუტის ორი საერთაშორისო ჟურნალის („ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის შრომები“ – 172-ე ტომის ## 1, 2, 3, და „მემუარები დიფერენციალურ განტოლებებსა და მათემატიკურ ფიზიკაში“ – 73-ე, 74-ე, 75-ე ტომები) უცხოეთის 100-მდე სამეცნიერო დაწესებულებასთან გაგზავნის პროცესს.

ი) ინსტიტუტში ჩავატარეთ (ვიყავი საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე) საერთაშორისო ვორკშოპი დიფერენციალურ განტოლებათა თვისებრივ თეორიაში -QUALITDE-2018 (1-3 დეკემბერი, 2018 წელი, http://www.rmi.ge/eng/QUALITDE-2018/workshop_2018.htm), რომელიც მიეძღვნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 100 წლისთავს.

კ) ხელს ვუწყობდი საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარებას, კერძოდ 2018 წელს შედგა ინსტიტუტის თანამშრომელთა 30-ზე მეტი სამეცნიერო ვიზიტი საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებში, ამათგან 25 ვიზიტი ფინანსურად მხარდაჭეერლი იყო ინსტიტუტის ბიუჯეტიდან.

ლ) უზრუნველვყავი საორგანიზაციო ღონისძიებების გატარება ინსტიტუტის 2018 წლის წლიური სამეცნიერო ანგარიშის მოსამზადებლად.

მ) ვასრულებდი და/ან ვხელმძღვანელობდი თსუ-ს შესაბამისი მართვის ორგანოებიდან მიღებულ სხვადასხვა დავალებებს.

ოქმი #1

ხმის დამთვლელი კომისიისა, რომელიც არჩეულია

თსუ ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ 2018 წლის 25 დეკემბრის სხდომაზე

ხმის დამთვლელი კომისია შემადგენლობით მ. ჯიბლაძე (თავ-რე), დ. კაპანაძე და ა. მესხი არჩეულ იქნა თსუ ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სწავლულ მდივნად ოთარ ჯოხაძის არჩევასთან დაკავშირებით.

თსუ ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს შედგება 29 წევრისაგან.

სხდომას ესწრებოდა სამეცნიერო საბჭოს 17 წევრი.

სამეცნიერო საბჭოს წევრებს დაურიგდათ 17 ბიულეტენი.

ხმის მიცემის შედეგები

#	სახელი, გვარი	მომხრე	წინააღმდეგი	გაუქმებული ბიულეტენი
1.	ოთარ ჯოხაძე	17	0	0

ფარული კენჭისყრის შედეგების საფუძველზე თსუ ანდრია რაზმაძის საახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ თსუ ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სწავლულ მდივნად 5 წლის ვადით არჩეულ იქნა თსუ ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დიფერენციალური განტოლებების განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი ოთარ ჯოხაძე.

კომისიის თავმჯდომარე: მ. ჯიბლაძე

კომისიის წევრები: დ. კაპანაძე

ა. მესხი